


კლიენტების მომსახურების რეგლამენტის დანართი N **28**
დამტკიცებულია შპს „რიონი კაპიტალის“ დირექტორის
 ბადრი გობეჩიას
«28» *ოქტომბერი* 2025 წლის ბრძანებით № *01-27*

საბროკერო კომპანია “რიონი კაპიტალის” ფასების ფორმირების პოლიტიკა

სარჩევი

გვ.

თავი 1. ზოგადი ცნებები	3
თავი 2. პასუხისმგებლობის დაკისრება და კონტროლი	4
თავი 3. ფასების ფორმირების ძირითადი მიზნები და პრინციპები	5
თავი 4. მოქმედების სფერო და მომსახურებების ჩამონათვალი	6
თავი 5. კლიენტებისთვის ხარჯებისა და საკომისიოების გამჟღავნება	7
თავი 6. კლიენტების კლასიფიკაცია და ტარიფების დიფერენცირება	7
თავი 7. საკომისიოების ფორმირების მეთოდიკა	8
თავი 8. ფასდაკლებები, ინდივიდუალური პირობები და მარკეტინგული აქციები	10
თავი 9. საკომისიოებში ცვლილებების შეტანის წესი და ამის შესახებ კლიენტების ინფორმირება	11
თავი 10. ფასების ფორმირების პოლიტიკის გადახედვა და აქტუალიზაცია	12

თავი 1. ზოგადი ცნებები

1.1. მოქმედების სფერო

- 1.1.1. მოცემული ფასების ფორმირების პოლიტიკა (შემდგომ - „პოლიტიკა“) შპს რიონი კაპიტალში (შემდგომ - ბროკერი) განსაზღვრავს ტარიფების, საკომისიოებისა და სხვა ანაზღაურებების (შემდგომ - „საკომისიოები“) ფორმირების, ცვლილებისა და გამჟღავნების პრინციპებს, მიდგომებს, მეთოდოლოგიებსა და პროცედურებს, რომლებიც ბროკერის მიერ საინვესტიციო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევისას ეკისრება კლიენტებს.
- 1.1.2. საკომისიოების კონკრეტული ოდენობები, მათი გამოთვლის მაგალითები, აგრეთვე უფასო და ფასიანი მომსახურებების ჩამონათვალი განისაზღვრება ცალკე დოკუმენტში - „ტარიფები საცალო კლიენტებისთვის“ (შემდგომ - „ტარიფები“). პოლიტიკასა და ტარიფებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, პრინციპებისა და პროცედურების ნაწილში გამოიყენება პოლიტიკის დებულებები, ხოლო კონკრეტული განაკვეთების ნაწილში - ტარიფები.
- 1.1.3. პოლიტიკის დამტკიცებასა და გადახედვაზე საერთო პასუხისმგებლობა ეკისრება ბროკერის დირექტორთა საბჭოს (ან წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილ ორგანოს).
- 1.1.4. პოლიტიკა ვრცელდება ბროკერის ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფზე, რომლებიც მონაწილეობენ:
- პროდუქტებისა და მომსახურებების შემუშავებაში;
 - საკომისიოების დადგენასა და გადახედვაში;
 - კლიენტების ინფორმირებაში ტარიფებისა და მათი ცვლილებების შესახებ.
- 1.1.5. პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი მარეგულირებელი აქტების გათვალისწინებით:
- საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ნორმატიული აქტების მოთხოვნების გათვალისწინებით, ფინანსური მომსახურებების მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ტარიფების გამჭვირვალობისა და არასამართლიანი კომერციული პრაქტიკის დაუშვებლობის ნაწილში;
 - საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მათ შორის ევროკავშირის დირექტივა MiFID II-ში დაფიქსირებული მიდგომების ჩათვლით ინვესტორებისთვის ხარჯებისა და საკომისიოების გამჟღავნების ნაწილში;
 - ბროკერის შიდა დოკუმენტების გათვალისწინებით (რომელიცაა მომსახურების გაწევის წესები, რისკების მართვის პოლიტიკა, Best Execution პოლიტიკა და სხვა).

1.2. ტერმინები და განმარტებები,

ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტი - დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია ბუღალტრულ აღრიცხვაზე.

AML Division - კონტროლისა და შიდა ანგარიშგების დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია რეგულატორებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგებაზე, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის.

Analytical Department - დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია ანალიტიკასა და კლიენტთა საჭიროებების ანალიზზე.

IT Department - საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომლებსაც დაეკისრათ საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერისა და განვითარების, აგრეთვე საინფორმაციო და ტექნოლოგიური უსაფრთხოების ფუნქციები.

Safekeeping Department - შიდა აღრიცხვის დეპარტამენტი ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომლებსაც დაეკისრათ გარიგებებისა და აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციების შიდა აღრიცხვის წარმოების ფუნქცია.

Trading Desk - ორგანიზაციის სავაჭრო სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ ოპერაციებს.

Treasury Department - ბროკერის ხაზინა.

სხვა ტერმინები, რომლებიც არ არის განსაზღვრული მოცემული პოლიტიკით, გამოიყენება იმ მნიშვნელობით, რაც განსაზღვრულია ორგანიზაციის კლიენტთა მომსახურების რეგლამენტით, ბროკერის გლოსარით, აგრეთვე აქტივების ბრუნვის მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტებითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით.

თავი 2. პასუხისმგებლობის დაკისრება და კონტროლი

0.1. მოცემული პოლიტიკით აღწერილი წესებისა და ზომების დაცვის მიზნით, ორგანიზაციის ქვედანაყოფებს ეკისრებათ შემდეგი ფუნქციები:

0.1.1. Accounting Department / Treasury Department - საკომისიოების ეკონომიკურად დასაბუთებული დიაპაზონების გამოთვლა.

0.1.2. Analytical Department / Trading Desk - ტარიფების ცვლილებების ინიცირება, კონკურენტული გარემოსა და კლიენტთა საჭიროებების ანალიზი, ბროკერის შემოსავლიანობაზე გავლენის შეფასება.

0.1.3. Risk Department - საკომისიოების სტრუქტურის გავლენის შეფასება ბროკერისა და კლიენტების რისკ-პროფილის შესახებ, მარჟინალური დაკრედიტების განაკვეთების შეთანხმება.

0.1.4. შესამაბისობის დეპარტამენტი - საკომისიოების შესაბამისობის კონტროლი კანონმდებლობასთან, ნბგ-ის მოთხოვნებთან, აგრეთვე ინტერესთა კონფლიქტების მართვის, მომხმარებელთა დაცვის და სხვა შიდა პოლიტიკებთან.

0.1.5. Safekeeping Department / IT Department - ტარიფების სწორად დანერგვა აღრიცხვისა და ოპერაციულ სისტემებში, საკომისიოების გამოთვლისა და ჩამოჭრის სისწორის კონტროლი.

თავი 3. ფასების ფორმირების ძირითადი მიზნები და პრინციპები

3.1. მოცემული პოლიტიკის მიზანია საკომისიოების ფორმირების გამჭვირვალე, პროგნოზირებადი და ეკონომიკურად დასაბუთებული მექანიზმის დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს:

- ბროკერის გრძელვადიან ფინანსურ მდგრადობას;
- ტარიფების კონკურენტუნარიანობას სამიზნე ბაზრებზე;
- კლიენტების ინტერესების დაცვას, მათ შორის ფარული ან არასამართლიანი გადახდების დაუშვებლობას;
- მოქმედი რეგულატორული მოთხოვნების დაცვას.

3.2. საკომისიოების ფორმირებისა და გადახედვისას ბროკერი ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

3.2.1. გამჭვირვალობა - კლიენტისთვის ხელმისაწვდომ ფორმაში ხდება საკომისიოების სტრუქტურისა და შემადგენლობის გამჟღავნება, მათ შორის მესამე პირების ანაზღაურებების (პრაიმ-ბროკერები, კლირინგისა და კასტოდიალური ორგანიზაციები, საბაზრო მონაცემების მომწოდებლები და სხვ.).

3.2.2. დასაბუთებულობა - საკომისიოები ფორმირდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- ბროკერის პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები;
- ანალოგიურ მომსახურებებზე ბაზარზე არსებული ფასების დონე;
- აღნიშნულ მომსახურებასთან დაკავშირებული რისკები (საკრედიტო, საბაზრო, ოპერაციული და სხვ.);
- ბიზნესის შემოსავლიანობის მოთხოვნები.

3.2.3. დისკრიმინაციისა და უფლებების შეზღუდვის არარსებობა - ერთნაირი კატეგორიისა და შედარებადი პარამეტრების მქონე კლიენტების (ოპერაციების მოცულობა, რისკ-პროფილი, გამოყენებული მომსახურებები) მომსახურება ხდება ერთიანი ფასების ფორმირების პრინციპების შესაბამისად; ინდივიდუალური პირობები დასაშვებია მხოლოდ პოლიტიკის 6.3.2 პუნქტში აღწერილი კრიტერიუმების ფარგლებში.

3.2.4. თანაზომიერება და სამართლიანობა - საკომისიოები უნდა შეესაბამებოდეს მომსახურების სირთულესა და რესურსტევადობას, არ უნდა იწვევდეს კლიენტის არაპროპორციულ დატვირთვას და არ უნდა ქმნიდეს დაფარულ ინტერესთა კონფლიქტებს.

3.2.5. სისტემურობა და მდგრადობა - ფასების ფორმირება ეფუძნება ერთიან მეთოდოლოგიებს, რომლებიც გამოიყენება ყველა პროდუქტისთვის, ბროკერის გრძელვადიანი სტრატეგიის გათვალისწინებით.

3.2.6. შემოწმება და შესაბამისობის-კონტროლი - საკომისიოები არ უნდა ასტიმულირებდეს პრაქტიკებს, რომლებიც ეწინააღმდეგება რისკების მართვის პოლიტიკას, ინტერესთა კონფლიქტების პრევენციის პოლიტიკას და რეგულატორის მოთხოვნებს.

3.3. მესამე მხარეების ხარჯების კომპენსაციის პრინციპი

- 3.3.1. მომსახურებების გაწევისას ბროკერი იყენებს მესამე პირების ინფრასტრუქტურას (ვაჭრობის ორგანიზატორები, კლირინგის ორგანიზაციები, კასტოდიები, ბანკები, პრაიმ-ბროკერები, საბაზრო მონაცემების პროვაიდერები და სხვა კონტრაგენტები).
- 3.3.2. მომსახურების ხასიათისა და არჩეული მომსახურების რეჟიმის მიხედვით გამოიყენება ასეთი ხარჯების აღრიცხვისა და კომპენსაციის შემდეგი მოდელები:
- ბროკერის ტარიფი მოიცავს მესამე მხარეების ხარჯებს;
 - ბროკერის ტარიფი არ მოიცავს მესამე მხარეების ხარჯებს, რომლებიც კლიენტს დაერიცხება ფაქტობრივი ოდენობით;
 - ბროკერის მიერ განსაზღვრული ტარიფი ნულოვანია, ხოლო კლიენტი სრულად ანაზღაურებს მესამე მხარეების მომსახურების ხარჯებს.
- 3.3.3. კონკრეტული გამოყენებადი მოდელი განისაზღვრება კლიენტთა მომსახურების რეგლამენტითა და შესაბამისი ტარიფებით.

თავი 4. მოქმედების სფერო და მომსახურებების ჩამონათვალი

- 4.1. მოცემული პოლიტიკა ვრცელდება საკომისიოებზე, რომლებიც ბროკერის მიერ ერთიანდება შემდეგ ძირითად მომსახურებების ჯგუფებში (ზუსტი ჩამონათვალი მოცემულია მომსახურების ტარიფების დოკუმენტში):
- 4.1.1. ფინანსურ ინსტრუმენტებთან (აქციები, ობლიგაციები, ETF-ები, დერივატივები და სხვა) ოპერაციებზე საბროკერო მომსახურებები რეგულირებულ ბაზრებზე და არასაბირჟო ბაზარზე.
- 4.1.2. მარჟინალური დაკრედიტება და კლიენტის დაფინანსების სხვა ფორმები ფასიანი ქაღალდებისა და/ან ფულადი სახსრების უზრუნველყოფით.
- 4.1.3. კასტოდიანური და თანმხლები მომსახურებები (აქტივების აღრიცხვა და შენახვა, კორპორატიული ქმედებების დამუშავება და სხვა).
- 4.1.4. ვალუტის გაცვლისა და კონვერსიული ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია საინვესტიციო მომსახურებებთან.
- 4.1.5. საინფორმაციო-ანალიტიკური მომსახურებები, სავაჭრო და ანალიტიკურ პლატფორმებზე წვდომა, საბაზრო მონაცემები.
- 4.1.6. სხვა მომსახურებები, რომლებიც გათვალისწინებულია ბროკერის შიდა დოკუმენტებითა და ლიცენზიით.
- 4.2. პოლიტიკა ასევე არეგულირებს თანამშრომლობას გარე მომსახურების მომწოდებლებთან (პრაიმ-ბროკერები, კლირინგის ორგანიზაციები, საბაზრო მონაცემების კონტრაგენტები და სხვა) კლიენტის საბოლოო საკომისიოებში მათი ტარიფების გათვალისწინების ნაწილში.

თავი 5. კლიენტებისთვის ხარჯებისა და საკომისიოების გამჟღავნება

5.1. ბროკერი უზრუნველყოფს კლიენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებას ხარჯებისა და საკომისიოების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე (ex ante) და მისი შესრულების შემდეგ (ex post), რამდენადაც ეს გამოყენებადია, ხარჯების გამჟღავნების ნაწილში MiFID II-ის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

5.2. ხარჯებისა და საკომისიოების შესახებ ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს:

- კლიენტის პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების შემაჯამებელ ცხრილს;
- მითითებას, თუ რომელი საკომისიოები გადაიხდება ბროკერის სასარგებლოდ და რომელი - მესამე პირების სასარგებლოდ;
- ილუსტრაციულ მაგალითებს, რომლებიც აჩვენებს ერთობლივი ხარჯების გავლენას ინვესტიციების შემოსავლიანობაზე სხვადასხვა დროის მონაკვეთში

5.3. გამჟღავნებული ინფორმაციის ფორმატები და შემადგენლობა (ანგარიშგების შაბლონები, ამონაწერების ფორმატები, კლიენტური ანგარიშები და სხვა), განისაზღვრება ბროკერის შიდა დოკუმენტებით

თავი 6. კლიენტების კლასიფიკაცია და ტარიფების დიფერენცირება

6.1. საკომისიოები შეიძლება განსხვავდებოდეს კლიენტის კატეგორიის მიხედვით, რომელიც განისაზღვრება მოქმედი რეგულატორული მოთხოვნებისა და ბროკერის შიდა წესების შესაბამისად (მაგალითად, საცალო კლიენტი / პროფესიული კლიენტი).

6.2. ტარიფების დიფერენცირება დასაშვებია შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

- კლიენტის ტიპი (ფიზიკური/იურიდიული პირი, ინსტიტუციური კლიენტი);
- ოპერაციების მოცულობა და სიხშირე, მართვაში/მომსახურებაში მყოფი აქტივები;
- გამოყენებული გლობალური ბაზრები და ინსტრუმენტები (აშშ, ევროკავშირი, საქართველო და სხვა);
- მარჟინალური დაკრედიტების და/ან რთული პროდუქტების გამოყენება;
- გამოყენებული მომსახურების არხი (სტანდარტული ონლაინ-არხი, API-წვდომა, ინდივიდუალური მომსახურება და სხვა).

6.3. ბროკერში მიღებულია:

6.3.1. საბაზისო ტარიფები (tier-based) - ხელმისაწვდომია იმ კატეგორიის კლიენტებისთვის, რომელთათვისაც შესაბამისი tier-სტრუქტურა გათვალისწინებულია შესაბამისი კატეგორიის კლიენტებისთვის განკუთვნილ ტარიფებში.

6.3.2. სატარიფო რეჟიმი „All inclusive“ - წარმოადგენს ცალკეულ, სპეციალურ მომსახურების რეჟიმს და არ მიეკუთვნება tier-based ტარიფების სისტემას. სატარიფო რეჟიმის „All inclusive“ გამოყენების საფუძვლები და წესი განისაზღვრება

კლიენტთა მომსახურების რეგლამენტი და ხელშეკრულებით, მათ შორის იმ შემთხვევების ჩათვლით, როდესაც ბროკერს უფლება აქვს წინასწარი შეტყობინებით გადაიყვანოს კლიენტი აღნიშნულ რეჟიმზე.

ფასების ფორმირების პოლიტიკა ადგენს მხოლოდ მომსახურების ღირებულების ფორმირების პრინციპულ მიდგომას „All inclusive“ რეჟიმში და არ განსაზღვრავს კლიენტის აღნიშნულ რეჟიმზე გადაყვანის საფუძვლებს.

6.3.3. ინდივიდუალური ტარიფები ფორმდება კლიენტთან ცალკე დამატებითი შეთანხმებით და შეიძლება მიენიჭოს:

- მსხვილ ინსტიტუციურ კლიენტებს და/ან კლიენტებს მაღალი ოპერაციული მოცულობებით;
- მარკეტინგული აქციებისა და ლოიალობის პროგრამების ფარგლებში;
- რისკ-კომიტეტის გადაწყვეტილებით, დადგენილი დიაპაზონის ფარგლებში.

თავი 7. საკომისიოების ფორმირების მეთოდოლოგია

7.1. ზოგადი მიდგომები

7.1.1. მომსახურებების თითოეული ჯგუფის მიხედვით საკომისიოების ფორმირებისას ბროკერი ითვალისწინებს:

- ხარჯვით კომპონენტს (ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები, გარე მომსახურების მომწოდებლები, ლიცენზიები, გადახდების პროცესინგი, რისკ-კაპიტალი და სხვა);
- საბაზრო ბენჩმარკინგს - შესაბამის ბაზრებზე შედარებადი ბროკერებისა/ფინანსური ინსტიტუტების ტარიფებზე ორიენტირებს;
- რისკ-პრემიას - ბროკერის მიერ აღებული საკრედიტო, საბაზრო და ოპერაციული რისკებისათვის დამატებით ანაზღაურებას;
- სტრატეგიულ მიზნებს - მიზნობრივ მარჟას, პოზიციონირებას (მასობრივი/პრემიუმ/ციფრული ბროკერი), უკუგების მოთხოვნებს.

7.1.2. მომსახურებების თითოეული ჯგუფისათვის კონკრეტული ფორმულები და დიაპაზონები ფიქსირდება სამუშაო მეთოდოდეკებსა და/ან ტარიფების გამოთვლის შიდა ცხრილებში (back-office-ისა და ფინანსური სამსახურის სამუშაო დოკუმენტები, რომლებიც არ არის საჯარო კლიენტებისთვის).

7.2. საბროკერო საკომისიოები გარიგებებთან დაკავშირებით

7.2.1. საბროკერო მომსახურების (გარიგებების შესრულების) საკომისიოები შეიძლება გამოითვალოს შემდეგი საფუძვლებით:

- ფიქსირებული განაკვეთი თითო გარიგებაზე (per ticket);
- გარიგების მოცულობის პროცენტი (ad valorem);
- კომბინირებული მოდელი (ფიქსირებული ნაწილი + მოცულობის პროცენტი);
- საფეხუროვანი ტარიფები (პროცენტული განაკვეთის შემცირება ბრუნვის მოცულობის ზრდასთან ერთად განსაზღვრულ პერიოდში).

7.2.2. განაკვეთების დადგენისას ბროკერი ითვალისწინებს:

- შესაბამისი ბირჟების, კლირინგისა და კასტოდიალური ორგანიზაციების ტარიფებს;
- პრაიმ-ბროკერებისა და გარე შუამავლების საკომისიოებს და/ან სპრედებს;
- შესრულების ინფრასტრუქტურისა და რისკ-მენეჯმენტის ხარჯებს.

7.2.3. ცალკე შეიძლება დაწესდეს:

- გარე ბაზრებზე (აშშ, ევროკავშირი და სხვა) ოპერაციებისთვის დაწესებული მოსაკრებლები
- დაბალლიკვიდურ/სპეციფიკურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ ოპერაციებზე საკომისიოები;
- არასაბირჟო (OTC) გარიგებებზე საკომისიოები, თუ ისინი დასაშვებია.

7.3. საკომისიოები მარჟინალური დაკრედიტებისთვის

7.3.1. მარჟინალური დაკრედიტების ღირებულება ფორმირდება შემდეგნაირად: მარჟინალური სესხის საპროცენტო განაკვეთი = დაფინანსების საბაზო განაკვეთი + რისკ-პრემია კლიენტის რისკ-ჯგუფისა და აქტივის ტიპის მიხედვით.

7.3.2. საბაზო განაკვეთის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

- შესაბამის ვალუტაში დაფინანსების ღირებულება (საკრედიტო ხაზების, დეპოზიტების, რეპო ბაზრების საპროცენტო განაკვეთები და სხვა);
- ბროკერის შიდა ინდიკატიური ბენჩმარკი.

7.3.3. რისკ-პრემია დამოკიდებულია:

- კლიენტის კატეგორიასა და მის საკრედიტო პროფილზე;
- მარჟინალური ბერკეტის დონესა და პორტფელის ვოლატილობაზე;
- პოზიციების კონცენტრაციაზე და/ან რთული ინსტრუმენტების გამოყენებაზე.

7.3.4. მარჟინალური განაკვეთების პოლიტიკა თანხმდება რისკების მართვის პოლიტიკასთან და შეიძლება მოიცავდეს:

- განაკვეთების დიფერენცირებას ბერკეტის დონეების მიხედვით;
- გარკვეული აქტივების კლასებში მარჟის გამოყენებისთვის დამატებით გადასახდელს;
- გაზრდილ განაკვეთებს margin-call დისციპლინის დარღვევისა და/ან უზრუნველყოფის ხარისხის გაუარესების შემთხვევაში.

7.4. კასტოდიალური და სერვისული მოსაკრებლები

7.4.1. აქტივების აღრიცხვის, შენახვისა და მომსახურებისთვის შეიძლება დაწესდეს:

- პერიოდული შენახვის საკომისიოები (თვითური/კვარტალური/წლიური) აქტივების ღირებულების პროცენტულად ან ფიქსირებული ოდენობით;
- კორპორატიული ქმედებების დამუშავების საკომისიოები;
- ფასიანი ქაღალდების გადაცემის/გადამეტების (re-issuance) საკრებულოები;
- აქტივების მესამე პირებისთვის გადაცემის და სხვა საკომისიოები.

7.4.2. ასეთი საკომისიოების ფორმირებისას ითვალისწინება:

- გარე კასტოდიალებისა და დეპოზიტარების ტარიფები;
- კლიენტის აქტივების მოცულობა და სტრუქტურა;

- საჭირო ანგარიშგებისა და მომსახურების დონე.

7.5. ვალუტის გაცვლისა და კონვერსიული ოპერაციები

7.5.1. კლიენტებისთვის სავალუტო ოპერაციების ღირებულება ფორმირდება:

- ბაზარზე არსებულ საბანკო კურსთან მიმართებით მარჯის მეშვეობით (კლიენტის გარიგების კურსსა და საყრდენ საბაზრო კურსს შორის სპრედი);
- და/ან კონვერსიისათვის ცალკე საკომისიოს მეშვეობით.

7.5.2. სავალუტო მარჯის ოდენობა შეიძლება დამოკიდებული იყოს:

- გარიგების მოცულობაზე;
- სავალუტო წყვილზე;
- საბაზრო ლიკვიდობასა და ვოლატილობაზე;
- კლიენტის კატეგორიაზე.

7.5.3. ბროკერი კლიენტს უმჯდევნებს საბაზო კურსის განსაზღვრის წესს (მაგალითად, გარკვეული ლიკვიდობის მომწოდებლების ან საინფორმაციო სისტემების კოტირებებზე დაყრდნობით).

7.6. საინფორმაციო, ანალიტიკური და ტექნოლოგიური მომსახურებები

7.6.1. საკომისიოები შეიძლება იკრიბებოდეს:

- სავაჭრო/ანალიტიკურ პლატფორმებზე (ტერმინალები, მობილური აპლიკაციები, API და სხვა) წვდომისთვის, თუ ასეთი წვდომა აჭარბებს საბაზო ფუნქციონალს;
- ანალიტიკურ მასალებზე, კვლევებზე, სიგნალებზე და სხვა გამოწერებზე;
- საბაზრო მონაცემების გამოწერის სერვისზე (real-time/delayed, Depth of Market და სხვა) გ საბაზრო მონაცემების მომწოდებლების ტარიფების შესაბამისად.

7.6.2. იმ შემთხვევაში, თუ მონაცემების მომწოდებელი ადგენს სავალდებულო მინიმალურ მოსაკრებლებს ან გადაყიდვის მოდელთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ბროკერი ითვალისწინებს ასეთ მოთხოვნებს კლიენტებისთვის საბოლოო ტარიფების ფორმირებისას.

თავი 8. ფასდაკლებები, ინდივიდუალური პირობები და მარკეტინგული აქციები

8.1. ბროკერს შეუძლია უზრუნველყოს ფასდაკლებები ან სპეციალური პირობები საკომისიოებზე:

- მსხვილი აქტივების მქონე და/ან მნიშვნელოვანი სავაჭრო ბრუნვის მქონე კლიენტებისთვის;
- მარკეტინგული კამპანიების ფარგლებში (მაგალითად, გარკვეული რაოდენობის პირველ გარიგებებზე საკომისიოს შემცირება, ახალი კლიენტებისთვის შეღავათიანი პერიოდი და სხვა);
- ლოიალობის პროგრამების ფარგლებში (მაგალითად, ქეშ-ბეჭი, მიზნობრივი ფასდაკლებები გარკვეულ ინსტრუმენტებსა/ბაზრებზე და სხვა).

8.2. აქციების პირობები და მოქმედების ვადები:

- აქციები მტკიცდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ (მმართველი ორგანო; მარკეტინგის დეპარტამენტი /ფასების კომიტეტი);
- დოკუმენტირდება შიდა განკარგულებებით;
- მიეწოდება კლიენტებს დადგენილი საკომუნიკაციო არხების მეშვეობით (ვებ-საიტი, პირადი კაბინეტი, ელექტრონული ფოსტა და სხვა).

8.3. ფასდაკლებებმა და ინდივიდუალურმა პირობებმა არ უნდა:

- გამოიწვიოს რეგულატორის მოთხოვნების დარღვევა კლიენტების თანაბარი და სამართლიანი მოპყრობის შესახებ;
- დამალოს რეალური ხარჯები ან შექმნას ფარული სტიმულები, რომლებიც ეწინააღმდეგება ინტერესთა კონფლიქტების მართვის პოლიტიკას.

თავი 9. საკომისიოებში ცვლილებების შეტანის წესი და კლიენტების ინფორმირება

9.1. ბროკერი ახორციელებს საკომისიოების გადახედვას საჭიროების მიხედვით, თუმცა არანაკლებ იმ პერიოდულობისა, რომელიც დადგენილია შიდა რეგლამენტით, შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით:

- საბაზრო კონიუნქტურისა და დაფინანსების ღირებულების ცვლილებები;
- გარე მომსახურების მომწოდებლების ტარიფების ცვლილებები;
- კანონმდებლობისა და სებ-ის მოთხოვნების ცვლილებები;
- აქციონერების სტრატეგიული გადაწყვეტილებები.

9.2. ტარიფებში ცვლილებები:

- მტკიცდება შიდა დოკუმენტებით დადგენილი წესით;
- ფორმდება ტარიფების დოკუმენტის ახალი რედაქციით, ძალაში შესვლის თარიღის მითითებით;
- წინასწარ მიეწოდება კლიენტებს ვებ-საიტზე გამოქვეყნების და/ან პირად კაბინეტში შეტყობინებების, აგრეთვე მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა არხების მეშვეობით.

9.3. საკომისიოებში ცვლილებების შესახებ კლიენტების წინასწარი შეტყობინების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებით და/ან მომსახურების პირობებით. ცალკეულ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით და/ან რეგლამენტით, მათ შორის კლიენტის სპეციალურ სატარიფო რეჟიმზე გადაყვანისას, გამოიყენება წინასწარი შეტყობინების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღისა, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- საკომისიოების შემცირება (როდესაც ცვლილება კლიენტის სასარგებლოდ ხდება);
- ტარიფების ცვლილება, რომელიც ინიცირებულია გარე მომსახურების მომწოდებლების მიერ ძალიან მოკლე შეტყობინების ვადით;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გამონაკლისები.

თავი 10. ფასების ფორმირების პოლიტიკის გადახედვა და ძალაში შესვლა

10.1. ფასების ფორმირების პოლიტიკა ექვემდებარება გეგმიურ გადახედვას არანაკლებ წელიწადში ერთხელ, აგრეთვე არაგეგმიურ გადახედვას შემდეგ შემთხვევებში:

- საქართველოს კანონმდებლობის და/ან სებ-ის ნორმატიული აქტების ცვლილებისას;
- ბროკერის ბიზნეს-მოდელის ან მომსახურებების სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილებებისას;
- ფასების ფორმირების მოქმედ პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში შიდა ან გარე შემოწმებების შედეგების საფუძველზე.

10.2. პოლიტიკის გადახედვა ინიცირდება ბროკერის უფლებამოსილი ხელმძღვანელების მიერ, მათ შორის CFO-ის და/ან COO-ის მიერ, რეგულატორულ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლის ნაწილში CCO/ ოფიცრის სავალდებულო მონაწილეობით.

10.3. პოლიტიკის ახალი რედაქცია ძალაში შედის ბროკერის უფლებამოსილი ორგანოს მიერ, მისი დამტკიცების თარიღიდან, თუ შესაბამისი გადაწყვეტილებით სხვა ვადა არ არის დადგენილი.